

რედამცია: სოლოლაკზე, სერ-
გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-
ში, № 8.

კანტორა რედამციისა: სერ-
გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახ-
ლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტო-
რაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Въ Тша-
дств. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: თითო წლი-
სა—8 მან., 6 ხვეარ წლისა—4 მან. და
50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორგზაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს,
რუსულს, სომხურს და სხვა ენებში.
ფასი განცხადების: ცხელი-
ვებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით
ეტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-
ტროლით—5 კაპ., მატარაით—4 კაპ.

რედამციას უფლება აქვს და-
ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდ-
ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-
დება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშხრათ

პირველი ენაენისთვიდამ
ამ მდგომარეა წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის
დამლევამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფი-
ლის ში: რედაქციაში, სერგივის ქუჩა-
ზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

მაღალქს გარეზე პირთა ამ აღ-
რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тшф-
мств. Въ редакцію газеты „Дроება“.

საქართველო

პატარა შენიშვნები არტანუჯად

(წერილი რედაქტორთან)

(დასასრული)

რადგან სოფ. შრში მოველით გვი-
ან და დაღამეული იყო, ვერ დავათვა-
რიელებ. მეორე დღეს ადრე ავდექი და
დავიარე მთელი სოფელი.

ში პატარა სოფელია; შესდგება ოცი
კომლისაგანა. მცხოვრებლები არიან გა-
დმოსახლებული ახალციხის სოფლე-
ბიდან. მოფილა პატარა ეკლესია, რომ-
ლის ნანგრევი ახლაც დგას. აქ ცხო-
ვრობს ხიმშიაშვილის ძესაძე ცოლი თა-
ვისი შვილებით. სოფელს აქვს კარგი
ჰევა და მშენებელი მღებარეობა. იქაური
ჰევის კარგობა მტკვარისა და ახლო გო-
რაკებზე ტყის ბოლია.

აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეს, პა-
ტარა გორაკზე, ტყის პირად, დგას და
დაღერებით გადმოჰყურებს პატარა ციხე.
აქაურობა ყოფილა ბოსილი ტყით, ახ-
ლაც ნახვით კარგ მანძილზე ტყეს.

არტანუჯის მახრად ორ ნაწილათ იყო-
ფება: პირველ ნაწილს, სადაც თვით ქა-
ლაქია, უწოდებენ არტანუჯს, მეორე ნა-
წილს მეშა-არტანუჯს (ტყე-არტანუჯს).
ში იმყოფება მეშა-არტანუჯი. ამ სო-
ფელს ჩემობენ უ. ხიმშიაშვილები. სწო-
რედ უნდა აღვთხოვთ, როგორღაც იმის
შვილებს იქაურები არ ემადლიერებიან:
„სოტა ბაშიბუზუყობენო“...

მზე კარგათ ამოვიდა. ცხენებზე შეეს-

ხელით და დავადექით გზას. ცამოწმენ-
დილი იყო. მზე გზავსიდა თავის სუსტ
სხივებს, მაგრამ მაინც ვერ გვათბობდა.
მეც რამდენიც დავალე პირი და ხელები
ნაბღის ქვეშ, მაინც ვერ ავცდი დილის
სუსსს.

მივედით ს. ხარისამან ში. მსოფე-
ლი ვერანაა; უჩველეს საზაფხულოთ
აქეთ. თვით სოფელი დგას კლდის თავზე.
მართალია, ამ სოფლის არე-მარეში ეკ-
კლესიის ნაშთი არაფერი ეტყობა, მაგ-
რამ ჩემმა ცხენის პატრონმა დამარწმუნ-
ა, რომ აქ ქართველები და ბერძენები
ცხოვრებულან. ძველ ნაშთთაგან ამ სო-
ფელში ახლაც არის ძველი დარბაზი; ასი
წლისა მაინც იქმნება. ხარისამანის პირ-
დაპირ დგას სოფელი ახჩა-ქალა.
ამ ორი სოფლის შუა მდინარებს პატარა
მდინარე, რომელიც იწყობა შამარის
მთებიდან. ამ სოფლის სახელი თათრულ-
ლი სახელია, რომელიც ნიშნავს თეთრ
ციხეს; მაგრამ არა მგონია, რომ ქარ-
თული სახელი არა ჰქონდეს. ახლო ეკ-
კლესიის ნაშთი ამტკიცებს, რომ აქ ერთ
დროს ქართველი ცხოვრებულა. ჩემმა
ჩარეადარმა მიამბო, რომ ს. ხარისამანის
ქვეით ხევებში ხუთი ვერსის სიშორეს
არის მაღალი თვალ-აუწევდენელი კლდე,
შიგ კლდეში არიან ბევრი მალარებიო-
და იმავე კლდეზე მიუდგომელ ალაგას
სჩანს ხის ტახტიო. ასავალ-ჩასავალი
არსაიდ არა აქვს. აქ ამბობენ, შამარ
დედოფალის საბჭო ადგილი ყოფილაო
და ამ ალაგას „ჩარხი-ფალაგას“ უწოდებ-
ნენო. (ჩარხი-ფალაგ თქმა არის: „ბედის-
ჩარხი“). იმ ტახტამდის ასეღა შეუძლე-
ბელია. მხოლოდ ერთი ვიღაც აქაურე-
ლი ავიდაო და ენახა ტახტზე რაღაც
ცხენის თავიო (უეჭველად ფრინველის
ატანილი იქმნება).

აქედამ მელამდის მოსვლამდე სოფე-
ლი არა გავვივლია. შორით კი სჩანან
ჩრდილოეთის მხარეს: დიდი სოფელი—
ნაქალაქევი, სადაც ას-ორმოც-და-ათი კო-
მლი მცხოვრებელია და სოფელი ბორ-
ქი—ნაეკლესიარო.

შუადღისას მიველით ს. მელში. მე-
ლი დიდი სოფელია. დგას კლდის თავ-
ზე. ადრე ყოფილა უფრო მოზდილი
(სამასი კომლი დგომილა). აქაური ახლან-
დელი მცხოვრებლები გადმოსახლებუ-
ლი არიან ახალციხის სოფლებიდან. მარ-
თულს არაფერ არ ლაპარაკობს, გარდა
სამი ღრმა მოხუცებულისა. იმათგანი
ერთი ამ ახლო ხანებშია გადმოსახლე-
ბული, სახელად ჰქვიან ჰასარად-მეხინი-
შვილი.

რად გადმოხვედით აქეთ, რად გა-
გვექცით?—მეთქი.

— რა ექნათ, ბატონო, ყველა ცაცი
თავისი გვარის მიკრძევა უნდა! მიზასუ-
ხა ჰასარადამ ქართულად. ბევრი შემეხვე-
წა, რომ როგორმე მეშუამავლა აქაურ
მაზრის უფროსთან, რომ ნება მისცეს
პურების გაღწევისა. (მაგრამ ჩემისთანა
პაწაწა კაცს სად შეუძლიან, მაგისთანა
დიდი სამსახურის აღსრულება!)

შიგ მელში არის ოთხი ძველებური
დარბაზები; ფიცრების სიძველე ამტკი-
ცებს, რომ დიდი ხნისა უნდა იყვნენ
ისინი. საუბედუროდ, თათრებს დაუძა-
ბლებიათ ბანები და ის შენეღულება არა
აქეთ, რაც უნდა ჰქონდესო.

სოფლის პირიდან იწყობა ღრმა უფ-
სკრული, სადაც მტკვარი მოუსვენრად
მდინარებს. მეორე მხარე მტკვარისა უფ-
რო მაღალია, თითქმის წარმოადგენს
კარგ მოზდილს მთას, რომელიც ყო-
ფილა ტყით მორთული. ახლაც არის
ამ ტყის დანარჩენი; ფერდობა მოფენი-
ლია არყის ხითა.

ხეობის ჩასავალზე (სოფლიდან) მაგარ
კლდეზე დგას ძველა ციხე. ციხე ყოფი-
ლა მოზდილი და შეზღუდული ვალაე-
ნით. ძლდის თავზე იშლება პატარა მინ-
დორი, საცა ახლაც დგას მშენებელი წი-
თელი-გათილი ქვის ეკლესია. შამ-
კლესია კარგათ არის შენახული, მხო-
ლოდ კარების (სამხრეთის და დასავლეთ-
ის მხრით) ამყოლები და ზღუდენი ჩა-
უნგრევიათ განგებ უსამართლოებს. ძე-
ღლები იმისთანა ხელოვნებით არის ნა-
შენი, გგვონება მთელი კედელი ერთი
ქვისაო; მხოლოდ დროს და წვიმა-
თოვლს დაუდნია ქვებო. შიგნიდან ყო-
ფილა სულ ნახატი, მაგრამ ჩაუნგრევიათ
და ზოგიერთს ალაგას დარჩენილან მო-
წმით წმიდანების თავები. მარჯვენა კე-
დელზე, ეტყობა, ყოფილა დანატული
ვიღაც გმირისა სახე. თუმცა თავი და
ფეხები არ ეტყობა, მაგრამ შუატანი
ცხადათ ამტკიცებს, რომ ეკუთვნის გმირს
და არა წმიდანს: ტანისამოსი მეომარისა
აქვს. იქაურმა თათრებმა მითხრეს, რომ
ძელზედაც ყოფილა ზედწაწერა; ჩამო-
ვარდნილა და ზედ გადმოვგრეულა კო-
შის კედელი, რომელიც მიკრულია
ჩრდილოეთის მხრით ეკლესიისთან. შამ-
კოშკი სჩანს ამ ეკლესიაზე, გვიან არის
ნაშენი. ღროების უქონელობის გამო
ის ქვა ვერ ამოვადლებინე ვასაშინჯავდ-



ბევრი ნაწერები ენახე კვლელზე და-
ნით ამოჭრილი ციხეზე. მაგალითათ აი
ამისთანები

„1784 პატრი შოლიქარფი დაესწერე.“
„1799-სა მე ხოჯევან ნიკოლოზმან
დაესწერე“.

„ეს მე ბალდამათ რძალმა-მარინემ
დაესწერე—შულან-სიზიანთ ბარანას ქალ-
მა.“

„1802 პატრი ბასილოსი ყოფილა.“
„ბ. თებერვლისა ყოფილა თოვლი“
და სხვა და სხვა.

სოტა ქვეით ეკლესიიდან ყოფილა
აბანო მშვენიერი თლილი ქვისა; ესეც
ეკლესიის მგზავსად არის ნაშენი, მაგ-
რამ დიდრონი ფანჯრები, ორი ფარნა-
გი წყლისა და მდებარეობა სიგძით ჩრდი-
ლოეთზე ამტკიცებენ, რომ აბანო ყო-
ფილა ისა. შიგ ციხეში ახლა არ ეტ-
ყობა წყლის აღვილი, საიდან მქონიათ
აბანოსთვის წყალი, ვერ გავიგე. აბანოს
წინ სოტა მოშორებით დგას სასახლე,
ვათლილი ქვით ნაშენი, ორ სართული-
ანი დიდრონი ფანჯრებითა. საცა მინა-
ხავს ძველი ნაშენები, არსად არ შემე-
ნიშნავს, რომ სადმე მქონდათ ამისთა-
ნა ფართო ფანჯრები. მტყობა რომ აქ
ერთხელ ცხოვრებულა ვილაც გამოსა-
ჩენი პირი და უშიშარი ხალხი. იმ აღვი-
ლას, საცა კლდე თავდება მტკერისკენ,
დგანან მაგარი კოშკები.

ამ შენობების გარდა ნახავთ აქ ბევრ
ნანგრევებს და ორმოებს ქვითკირისა.
სოფლის გარეთაც ყოფილა ძველი ეკ-
ლესია, სრულდებით გაოხრებული. მარ-
ტო აღვილი ეტყობა. ეკლესიის გვერ-
დით კარგ მოზილ გაშლილ მინდორ-
ზე გაფენილია სასაფლაოები. ძველებზე
წერი ვერ ვპოვე. მართ-ორ ქვაზე კი ჯვარ-
ის სახე და რაღაც მგზავსად გამოხა-
ტულია სურათი, მგონია იესო ძრისტეა.
მრთ ქვანდ გამოხატულია წმიდა ბო-
რგი თავის ცხენზე მჯდომარე და შუბით.
თვით წმიდა გეორგის თავი ისე დიდათ
არის გამოყვანილი, რომ ცხენი და მეო-
მარის ტანი ერთად ავიღათ, კიდევ თა-
ვი გადააჭარბებს.

მრთმა ღრმათ მოხუცებულმა მიამბო,
რომ აქ ერთხელ ცხოვრებდნენ ძრიელ
გმირი ხალხი. მქონიათ საკუთარი ია-
რალი; აკეთებდნენ თვითონვე წამალს,
იყვნენ მეომარი, ბევრჯელ დაუხვლე-
ბოდნენ ხალხე პირ-და-პირ ლაზებს და
პჭარელებსა, რომლებიც ბუზისავით
დაესევოდნენ ამ სოფლის გასაოხრებ-
ლად, მაგრამ ვერას ვარიგებდნენო და
ვერას აგებდნენო.

უკანასკნელად უფ. ხიმშიაშვილის
მამას ნდომებია ამ სოფლის გაოხრება
(1828 წ.); მაგრამ აქაურებს მალე შეუ-
ტყვიათ, აბარგულან, ჩასულან მტკერის
ხევიში, დამალულან მალარებში და შემრე
იქილამ გადასახლებულან აბალქალაქის
მაზრაში. იმ დროს ისე შესუსტებულან
ისინი, რომ წინ ვერ დამდვარან განმა-
ოხრებლებისა...

სოფ. მელის ზეიდან ჩრდილოეთ-
აღმოსავლეთის მხარეს მალალი მთაა,

რომელსაც უწოდებენ „მალლოსი“. იმ
მთის წვერზედ რაღაც მალალი ლოდი
სჩანს, ამბობენ, აქაც ეკლესია ყოფილა.
ძრისტიანობის დროს აქ სკოლიათ ამა-
ლდება დღესა დღეობა. შეიკრიფებოდ-
ნენ თურმე ყველა მხრიდან და აქ დღე-
სასწაულობდნენ. როცა დღეობას გა-
თავებდნენ, მაშინ გაიმართებოდა ცხე-
ნებით ჯარითი და ჭიდაობა. ამ ჯირი-
თობაში და ჭიდაობაში თავს გამოიჩენ-
დნენ უფრო ველელებია.

ახლანდელი მცხოვრებლებიც ძრიელ
სტუმრის-მოკვარენი არიან. პირველად
რომ შეველი სოფელში, როგორღაც
დაუნდობლათ მიყურებდნენ — „ურუსი“
ვეგონეთ და ერთმანერთს ეკითხებოდნენ
თათრულად (ვეგონათ, მე არ მესმოდა):

— რა უნდა ამ გაურს? იასაული ხომ
არ არის? სოხრას ხომ არ თხოულობს?

როცა შეიტყეს, რომ მაგათგანი არც
ერთი არა ვარ და ენაც ვიცი, მაშინ
დიდის პატივით მთხოვეს დარჩენა ერთი,
ორი დღით. მე უარი უთხარი. მოგვი-
ტანეს კარგი სადილი, რომელიც შესდ-
გებოდა ტკბილეულისაგან. ბოლოს მო-
გვიტანეს თაფლი. მე რომ უარი უთხარ
თაფლის ჭამაზე, გაუყვირდათ—განა იმი-
სთანა კაცი არის, რომ თაფლი არ
უყვარდესო? აქ ძრიელ გემრიელი თა-
ფლი სკოლია. არა ჰგავს იმერულ სა-
ძაგელ მყრალ თაფლს. სადილიც გავა-
გორეთ. შამოვემ შეიღოზე.—

ჩემი უკანასკნელი თხოვნა ის იყო,
რომ რაც ძველი ნაშთია: ციხე, ეკლეს-
სია და დარბაზები არ გაოხრონ. პი-
რობა მომცეს. წამოველი.

არ იქმნება ურიგო, ვისიც ხელშია,
მიაქციონ ყურადღება და მოახდინონ
განკარგულება, რომ ის ნაშთები, რაც
დარჩენილია ძველ ცხოვრებილამ, ამის
იქით მაინც არ გააფუჭონ და გააუქმონ.
იქმნება ჩვენი მოძავალნი ჩვენსავით გულ-
გრილები არ იყვნენ; იქმნება ამ ჩვენი
წარსულის ცხოვრების მოწამე ნაშთთა
იმათზე იქონიონ სხვა გავლენა და ესენი
შეიქმნენ იმათთვის გზისმჩვენებელნი სხვა
ცხოვრებისადმი...

ს. ბაგრატიონი.

პრტანი, 14 ოქტომბერს.

დღიური

* * * ქაქასიას სამეურნეო საზოგა-
დობის პროტოკოლიდან სხვათა შორის
ეტყობულობთ, რომ ხსენებულ საზოგა-
დობას გაუზავენია თავის ხარჯით ქი-
რიმში ნიკიტის სამალოსნო უკოლაში
ოთხი შავირდი, რომელნიც ადრე ლო-
კინის უკოლაში სწავლობდნენ.

ამვე პროტოკოლში სწერია, რომ
ქაქასიის სამეურნეო საზოგადოება უმაღ-
ლესს მთავობასთან აპირებს შეამავლო-
ბას, რომ საირტის აქციზის გადასახადი
შემცირებული იყოს ქაქასიაში.
რალა თქვა უნდა, რომ ამ უკანასკნე-

ლი საქმის შესრულებზე დადგინდნენ სხვა-
მოენო იქნება ერთს მხარეზე და
ხისათვის და მეორეს მხრით სასარგებლო
თვით ხაზინისთვისაც.

* * * მთავრობის გარდაწყვეტილებით,
ქაქასიის სოფლის მცხოვრებთ თოთხმეტ
ათას ცხენამდინ დაურიგდება იმ რიც-
ხვიდამ, რომელიც სამხედრო უწყებას
დარჩა, ჯარების დათხოვნის შემდეგ.
თვილისის უეზდის თითოეულ უეზდში
120—150 ცხენი ურიგდება.

რასაკვირველია, ეს კარგი შემწეობაა
სოფლის ხალხისათვის, რომელსაც ამ
ომიანობის გამო გაჩენილმა საქონლის
ჭირმა ამდენი ზარალი მოუტანა.

* * * ამ ოქტომბრის 9 ს თურმე-ორი
ილაც ვაჭარი მოდიოდნენ ნუხიდან მა-
ლაქს ტროიკით. ამათგან ერთს ჰქონია
ფული აკოიაქში ას თუმანზე მეტი.
როგორღაც შეუტყვია ეს იემშიკს და
როგორც მოსულან სტანციაში (ეს საქ-
მე მომხდარა სიღნაღსა და ნუხს შუა), ამ
იამშიკს შეუტყობინებია იქაური სხვა
ორი იამშიკებისთინ, დახვევიან მაგ
კაცს და წაურთმევიათ საკეაიოჟა. მანამ
მოვიდოდნენ ჩაფრები, მაგათ ვერა გაუ-
წყვიათრა, ვერ გამოურთმევიათ; როცა
მოსულან ჩაფრები, მაშინ კი ათი თუ-
მანი ფული უჩუქებიათ ჩაფრებისთინ,
რომ წვერთმით ის ფული. ამათაც
დაიჭირეს თურმე ეს იამშიკი და ბევრი
ცემის შემდეგ გამოუჩინა 400 მანეთი
და დანარჩენი იმ ორს იამშიკს მიე-
ციო. ახლა ისინი დაიჭირეს და სცემეს,
მაგრამ იმათ ვერ გამოაჩენინეს.

ბოლოს მოვიდნენ სიღნაღში და იჩი-
ვლეს მომრიგებელ მოსამართლესთან.
შამომეძიებელმაც შეადგინა აქტი.

* * * ამ დღეებში თვილისის სასული-
ერო სემინარიაში გარდაიცვალა ერთი
პირველი კლასის შავირდი, რომელიც
ამ სამის თვის წინათ ჩამოსულიყო
იპერეთიდან. პი როგორ გვიამბეს ჩვენ
ამ უბედური შემთხვევის გარემოება:

სემინარის მთავრობას აბანოში გაე-
გზავნა ის ყმაწვილი; მაგრამ, რადგან
ტანისამოსი არაფერი ჰქონია, ამის გამო
მარტო ერთი ბლუზით გაუსტუმრებიათ;
ნააბანოებს შესცივროდა, ავით გამხდა-
რიყო და რამდენიმე დღის შემდეგ გარ-
დაცვლილიყო.

* * * ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:
„დროების“ № 211-ის, დღიურში, და-
ბეჭდილია:

„ქმარა ამდენი გამოცდა და ცდა ეკ-
ლესიაში მაგლობლებისა ჩვენის ჰაზ-
რით, ყველას ის ემჯობინებოდა, რომ
ორივე მაგლობლები ჯერ სახლში მი-



იწვიონ სადმე, მიიპატიონ რამდენიმე მცოდნე კაცი და ამ ნაარად გამოცადონ“.

დიდად სასიამოვნო არის ჩემთვის ეს ჰაზრი და თანახმად ამისა ვთხოვ, ყველა მცოდნე პირთ ქართულის გალობისა, რომ მოზრძანდნენ მომავალს კვირას 22-ს, 12-ს საათზედ, ჩემს სახლში ანჩატის სობოროსთან, როგორც მგალობლები საგალობლად, აგრეთვე მსმენელებიც.

ზარდა ამისა მე საჭიროდ ვრაცხ გამოცდას უფრო მწუხრის და სისკრის როგორც გალობაში, აგრეთვე წესებშიაც (ტობიკონში); ამისთვისაც დანიშნულის დროს წინა საღამოს 4-ს საათზედ, ე. ი. მომავალს შაბათს გთხოვთ მოზრძანდეთ ანჩატის სობოროში საგალობლად თუ მოსასმენლად, სადაც ღამის-თვის ლოცვა გადაიხდება.

არხიანდრიტი მაკარი

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი 14 ოქტომბერს. თქვენ ამბობდით „დროების“ № 194-ში:

„წავიდა ის დრო, როდესაც ზოგი ერთნი პირნი ფენ-ქვეშ თელავდნენ იმ უპირველესს პედაგოგიურ კანონს, რომ ყოველმა ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზედ უნდა შეიძინოს პირველ-დაწყებითი სწავლა.“

ძალიან ნუ გაგიკვირდებათ, რომ თელავის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის მმართველები უფრო განვითარებულნი იყვნენ ამ აზრის შესახებ და საქმიანაც ამტკიცებენ. მსენი ქოგახსენებენ: „მოვიდა ისეთი დრო, როცა უნდა პირველ-დაწყებითი სწავლა მიდიოდეს უცნობ ენაზედ და შემდეგ სამშობლო ენაზედაც. ეს რომ ასეთა დაკარგიც არის, ეჭვი ნუ გექნებათ: მოზრძანდით და თქვენის თვალთ იხანულებთ ჩვენი სასწავლებელი, სადაც პატარა ავლად მოსულ ქალებს უჭირავთ ხელში რუსული „როდნოე სლოვო“ და დიდებს, რომელთაც რამდენიმე წელიწადი გაუტარებიათ ქართული „ღვდა-ენა“.

თუმცა „მამაშა“ და მის ქვეშევრდომნი ასე აცხადებენ, მაგრამ მე გატყობინებთ რომ არ წამოზრძანდეთ ამათი სასწავლებლის სანახავათ, ვინც გინდ იყოთ, თუ არ გექნებათ დიდის პირისგან ნაბობები ბაშფორთი ამათი სასწავლებლის ნიხვისა, თორე მერწუხენთ „მამაშა“ ამ სიტყვებით დავითხოვთ: „თქვენი ყოფნა სწავლის დროს, ერთის მხრით დაუფთხოვს ყურადღებას მოსწავლეთ და მეორეს მხრით მასწავლებელი იძულებულ იქნება ჰკითხოს მხოლოდ ის, რაც მოსწავლეთა იცაან; მაშასადამე, თუ შეიძლება ღვდა-ენაზედ, საიღამაც მოზრძანებულხართ იქითვე მიზანდღობა“.

ნუ გვგონიათ, რომ მართო ამ მხრით იყო შესანიშნავი ეს სასწავლებელი; ვრა, აქ სხვაც ბევრი რამე მოიძიება, რომელთაც პედაგოგის ისტორიისთვის ექნებათ მნიშვნელობა. ჩვენ არ ჩამოვთვლით ჯერ-ჯერობით ყოველ აქვებს მხოლოდ ვიტყვი, რომ აქ ისევე სუფევს ნეტა-ხსენებულ იმ დროის სასწავლებლები, რომელნიც ფიზიკურად და გონებითაც ამახინჯებენ ადამიანს.

არც სამოქალაქო სასწავლებელია ამაზე ნაკლებ კეთილ განწყობილებაში. იქ მასწავლებელი გათენებამდინ ღვინის სმაში და სტუკოლკის თამაშობაში ატარებენ დროებას მემრე ათ საათზე ძლიერ თავ-ბრუ-დახვეულნი მიიზღაზნებიათ სასწავლებელში და შემდეგ ისევე ჩქარა ბრუნდებიან ნასუფრალზე. იქ არა უშავს-რა, თუნდა სუყველა მასწავლებლებიც ბულეარებზედ არ მიდიოდნენ და შავირდები გაიფანტნენ სახლებისკენ..

უნდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ აქაურ ღვინისზე, რომელიც ერთხელ შესყიდულ ჭიგოს მეორეთ ასყიდვინებს პატრონს. მართხელ ხო იყიდაცა ბილეთით ჭიგო, როცა ვაზებს უღვამდა, ახლა როცა გამოაცალა ვაზებს და შინ მიიქვს, უნდა მეორეთ აილოს ბილეთი, თორემ იმას აბეშიკი, უეჭველია, ან თავის სახლში მიატანინებს, ან ღვსნიჩუაში. ეს არაუფრი, საქმე ის არის, რომ, თუნდა ღვსნიჩის ბილეთიცა გქონდეს, მაინც აბეშიკისაგან სხვა ბილეთი მოგინდება. ძარგი იქნებოდა რომ ღვსნიჩი და აბეშიკიც კვტანციას აძლევდნენ, როცა ფულს იზარებენ; თორემ ამბობენ, რაც სიბრუდით შამოსდის ეს საზიაროაო.

ამათი მოქმედობა იქამდინ მივიდა, რომ ამ დღეებში თელავის აბეშიკები დეადვენენ პატარა ბიჭებს, რომელთაც პარკებით ზღმარტ ი მოჰქანდათ, ბევრი აწივლ-აკივლეს და შემდეგ დიდის დაიდარაბისა წაართვეს. მე რომ ვკითხე, ეს რა ჰქენითო? მიპასუხეს. „ტყე ჩვენია, ეს ტყის ნაყოფია; მაშასადამე ვსაც ჩვენია, და ღვსნიჩიც ამას გვეუბნება.“

ახალი ამბავი სხვა არა-არის-რა; ძველიც ეს არის, რომ თელავის დოქტორს თავის ბაღლად თელაველებისთვის თავის ცხენები გამოუგზავნია! მითონ ღმერთმა იცის—როდის მოვა. აფთეკარიც მოუვიდათ თელაველებს და, უეჭველია, ისევე ბედაურით დიწყებს სვირობას და დროების გატარებებს. რა უშავს თუ აფთეკა ხანდახან დაკეტილი იქნება!

ამას გარდა ძველი ამბავი ეს არის, რომ წარსულ კვირაში იყო აქ სამღვდლოების კრება შესახებ სასწავლებლის წინ-წაწევისა. ეს კრება ვხლავ უფრო გონიერულად და პატიოსნურად მოიქცა, მინემ-წინათ, თუმცა ბევრიც არ გაუკეთებია-რა. შადანწყვიტა მხოლოდ ბურსის გახსნა ოც-დარევა შავირდისთვის, თუმცა კი არ უჩვენეს წამდელი მოუწყვეტელი წყაროები მის შესანახათ. ძრება მზად იყო შეეწირა ყველაფერი,

რაცკი ეკლესიას ებადა, თუ მისი მშენებელი რალო არ იქნებოდა ეს. ბიჭ-ნიჩუა

მინც უნდა ვიყო

უსხო ქვეყნები

ინგლისი

ინდოეთიდან ამბავი მოსულა ლონდონში, რომ ზოგიერთ საინგლისო ინდოეთის მხარეებში ხალხის არეულობას მოვლიანო; ხალხი უკმაყოფილებას აცხადებს ინგლისის მმართველობაზე და ავგანისტანსა და ინგლისს შუა შეტაკებით აპირებენ სარგებლობას და აჯანყებასაო.

—ლონდონის გაზეთებში იწერებიან, რომ აქედამ დიდ-ძალ ჯარს გზავნიან ინდოეთშიო. მს ჯარები ზოგი ავგანისტანის წინააღმდეგ იქნებიან მოზმარებულნი და ზოგი კი თვითონ საინგლისო ინდოეთის სხვა-და-სხვა მხარეში უნდა დააყენონო.

—ღარწმუნებით იწერებიან ამჟამად ინგლისურს გაზეთებში, რომ ამ ზამთარში ინგლისი არ გამოუცხადებს ავგანისტანს ომსა; მერმის გაზაფხულზე კი ამ ორ სახელმწიფოს შუა ბრძოლის ატეხა აუცილებელი არისო.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

მენა, 18 ოქტომბერს. იტალიურს გაზეთს „ფანჭულაში“ იწერებიან, ინგლისმა ჰკითხა რუსეთის მთავრობასაო—თუ რა მიზეზით დააბრუნა იმან ისევე თავის ჯარები სტამბოლის ახლო-მახლო ადგილებში.

პეშტი, 17 ოქტომბერს. მომეტებული ნაწილი იმ პირებისა, რომელნიც ადრესის კომისიის წევრობაზე ეპირობენ კენჭის-ყრას, ანდრასის პოლიტიკის წინააღმდეგნი არიან.

მენა, 18 ოქტომბერს. პრეტისმა მოახსენა ავსტრიის იმპერატორს, რომ ამჟამად იმას არ შეუძლიან პარლამენტის წევრებისაგან სამინისტრო შეადგინოს და ამის გამო იძულებულია ხელი აიღოს ამ საქმისაგან.

სტამბოლი, 17 ოქტომბერს. აპობენ, რომ აქაური რუსის ელჩი ლობანოვ-როსტოვეცი ამ დღეებში ლივადიაში არის ხელმწიფისაგან დაბარებულიო.

პეშტი, 18 ოქტომბერს. აქ თბილი, წვიმიანი დღეები ღვას.

ლონდონი, 17 ოქტომბერს. ვაზეთი „თამისი“ გაარჩევს რუსეთის ახლანდელ მოქმედებას, აღმოსავლეთის საქმეების შესახებ, და ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ინგლისმა, საფრანგეთმა და ავსტრიამ ერთად უნდა იმოქმედონო და მოაგონონ რუსეთსაო ის მოვალეობა და

პირობა, რომელსაც ბერლინის ტრაქტატი აღდგამს იმასაო. ბაზეთი ამტკიცებს, რომ ბერმანია ცუდდებულია და ეხმაროს ამ საქმეში შემოსწავნილებულ სახელმწიფოებს. მხოლოდ ამგვარის საშუალებით შეიძლება აღმოსაველეთის საქმეის გაჩვენება.

მანა, 16 ოქტომბერს. რადგან მ. მალეთიდან დღე-ღამეზე ცუდი ამბები მოდის, ამის გამო აქ დაწესებული არიან, რომ შემოდგომაზე უეჭველად ხელახლად ატყდებამი ამ გარემოებასა და აგრეთვე იმ ხმას, რომ რუსეთი, იტალია და საბერძნეთი დაუხლოვდნენ ერთმანეთსაო. დიდი გავლენა ჰქონდა ანდრასის უკანასკნელ პოლიტიკურ მოქმედებაზე.

მაკედონიაში ისეთივე აჯანყებაა, როგორც ალბანიაში მოახდინა ალბანის ლიგამ.

კატარბურლი, 18 ოქტომბერს. კეტერბურლის უწყებებ „გაუგონა, რომ ჩვენს მთავრობას განზრახვა აქვს, რომ თუ ინგლისსა და ავგანისტანის შირს შუა რიში ატყდა, რითაც შეიძლება დაეხმაროს შირსსაო. ზოგიერთი კერძო პირები ავგანისტანის დასახმარებლად ფულების და სხვა საჭირო რამეების შეწირვას აპირებენ; ისეთი პირებიც აღმოჩნდნენ, რომელნიც ეოლონტერებად წასვლას აპირებენ ავგანისტანში და შირის ჯარში უნდა ჩაეწერონ.

კატარბურლის ბირჟა, 18 ოქტომბერს,

(ხალხთა-შირის ტელეგრაფის სააგენტოში)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	96—78
მეორესი	95—50
მესამესი	95—50
მეოთხესი	95—62
აღმოსავლეთის	92—27

მქრო, 1/2 იმპერიალი	8—24
თფილ. თავად-ან. ბანკის	
გირაოს ფურცელი	— — —
შინაგანი 5%	სესხის ბილეთები:
	მან. კაპ.
პირველი სესხის	235—25
მეორე სესხის	229—50
	1 მანეთი ლირს:
ლონდონი	24 — —
ამსტერდამი	121—40
ბერლინი	204—50
პარიზი	251—83
მაკედონიის კერასინი	3 — 35

განცხადებანი
 მასწავლებელს ჰსუს მოაგზადოს ყაფვილავი საწავლებლავში. აღკისი გთხოვთ ხელაქის სტაგავში დასტავით. (3—2)

სოლოლაკამ, რთიჩევის მუხავი ისქიღვა
სახლის ალავი 400 საუენი
 ღენარალავ ანავ ყორანოვისა. მასისა და დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება მამულის პატრონთან მუდოვიჩი ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (2—2)

გასაძირავებელი საღოში არის ირაკლის ქუჩაზე ბასტამოვის სახლებში, მეორე ეტაჟში: შვიდი საუთა ოთახი, სამზარეულო და ბიჭებისთვის ოთახები. დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟში, სადაც უფ. პონსტანტინე პრუჩინოვის დგას. (10—5)

გამოვიდა ლიტოგრაფიდან და ისყიდება მ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში
ქართული სახალხო სიმღერები
 ნოტაჟა გარდაკეთავული მახილ მკავარიანისაგან
 გამოცემული მ. ჩარკვიანისა.
 შასი მათი მანეთი

თიანეთის უფავი თ. ნკო ჰაეკვაძის მამულის გვერდით, **ისქიღვა ვაჟული დესიატინა**, რომელიც შეიცავს სახნავ-სათეს ადგილს, ტყეს, საწისქვილეს ადგილს (იორზე). მასისა და აკრეთვე უფრო დაწვრილებული გარემოების შეტყობა და მამულის პოანის ნ. ხეა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სახლს № 8. (10—4)

გამოვიდა და ისქიღვა „თავარ ბატონიშვილი“ ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული მ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“ კ. მესხისაგან.
 ისქიღვა: თფილისში — ყველა წიგნის მალაზიებში, მუთანში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.
 შასი ყველავან მქვისი შაური.

რბ. ბზა.	ლილა.	ს ლაი.	II კ.	III კ.	ბელბერავი	მანკაპ.	მაჟანდა	მანკაპ.	თფილისის სამაჟრანლო
თფილისი	9 21	5 18	კაპ.	8 კაპ.	მ. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 19 ოქტემბ.		ქრენს მადანზე, წამდვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთასს, შოთს	1	ფქვ. თეთ. ბანჯრსა, ფთ.	180	აუთამყოფებს მიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი	11 5	9 43	240	133	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს	50	ფვილი წათელი	160	მ. რუბანათს: მერმიშვილი და ლევერს — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	392	218	კეტერბოლო, მარჯავს	2	მერი ფუთი	130	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
სორამი	144	442	246		მსხალთში, შვილიჩიანი	3	ბაჟა მრეცისა, ფუთი	630	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ქვილი	49	281	323		იტალია და საფრანგეთში	350	ბაჟენტალი ბ მბა ფუთი	10	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
რიონი	65	675	375		ინგლისში	375	მატული თუშური ფუთი	850	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
სამტრედია	751	773	429		ფონტა		თარაქამისა ფუთი	460	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი	843	857	476		ა) თფილისიდან: სამზღვარ გართ, მუთასს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და ხტშ. მ. შურ. — პარასკ. და ორშ. პახეთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-სიღნაღს: თფილისისა და შოთის კენ-ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურ-გგთს — ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ	2	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ფოთი	950	975	542		წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გართ:		მონ. ფუთი	580	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ფოთი	93				ლია წიგნია	4	მონს სანთლი ფუთი	760	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი	1014	118	66		და ბელიის (ხ. მი. მისხალი)	8	სტარინის ს. ნეთე, ფთ.	1240	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
სამტრედია	115	26	114				ხორცი ძროხისა, ლიტ.	81	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
რიონი	1213	34	169				ცხვრისა, ლიტრა	81	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ქვილი	118	398	221				სპირტი ვედრო	40	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
სურამი	512	110	533	296			შაქრი, ბროც. ფუთი	740	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ხაშური	539	137	584	324			ფხვნილი ფუთი	620	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
ბორი	75	487	364	9			ჟავ გრვ. ლი, გარვ.	70	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
მცხეთა	850	659	985	4			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	1280	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.
თფილისი	931	756	975	542			თამაქო, საშუალო ფთ.	660	სამუბათს: მერმიშვილი — შინ. გ. ავთ., ქუჩა-როანტ — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.